ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 29/8

ქ. თბილისი 20 ივნისი 2017 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში ,,შემსყიდველი", მინისტრის მოადგილის ვალერი კვარაცხელიას სახით, და მეორე მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე ლილე ყიფიანის სახით, შემდგომში ,,მიმწოდებელი".

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2017 წლის ასიგნებების ფარგლებში საყოფაცხოვრებო გამოყენების რეზინის ხელთათმანების შესყიდვაზე (CPV18400000) და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული საქონელი 1785 (ერთი ათას შვიდას ოთხმოცდახუთი) ლარად (შემდგომში ,,ხელშეკრულების ფასი").

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები:

N	დასახელება	რაოდენობა (წყვილი)	ერთ.ფასი	საერთო ფასი
1.	რეზინის ხელთათმანი, მრავალჯერადი გამოყენების, სხვადასხვა ზომის	700	2.55	1 785
	სულ:			1 785

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი:

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება არაუგვიანეს 2016 წლის 16 თებერვლისა.

4.2.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ,,შემსყიდველის" მისამართზე - ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამ. N144.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთჯერადად, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი სამ ეგზემპლარად.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარში.

6.2. მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, საქონლის მოწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის და მიმწოდებლის მიერ ფინანსური დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე არაუგვიანეს 10 კალენდარულ დღეში

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს ,,შემსყიდველისათვის" საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.

7.2. ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის“ დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.2.2. დროულად განიხილოს ,,მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლებები

8.1. ,,მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. ,,შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მოწოდებული საქონლის ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წინასწარ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი
არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ,,შემსყიდველმა" და ,,მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ,,შემსყიდველი" და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

12 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ,,მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი, სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ზურაბ ტყემალაძე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა.

15.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით.

17. დასკვნითი პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება "მიმწოდებელთან", ორი _ "შემსყიდველთან".

„შემსყიდველი“	„მომწოდებელი“
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საიდენტიფიკაციო კოდი: #211333957 ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. #144. სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 (220101222) ა/ა 200122900	ინდივიდუალური მეწარმე ლილე ყიფიანი ქ.თბილისი, მუხიანი, 4ა მ/რ., კორპ. 2, ბინა 74, ს/კ: 01003019935 სს ლიბერთი ბანკი ბანკის კოდი: LBRTGE22 ს/ა GE06LB0711192814365000
ვალერი ვეარაცხელია მინისტრის მოადგილე	ლილე ყიფიანი ინდივიდუალური მეწარმე

ვიზა: ი. ბიბილაშვილი

გ. კაკუშაძე

გ. გიორგობიანი

მ. თავთეთრიშვილი

ი. აბრამიშვილი

ი. გვასალია

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ქ. თბილისი „20" „იანვარი" 2017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ ინდივიდუალური მეწარმე ლილე ყიფიანის მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

ვ. კვარაცხელია

ი. ბიბილაშვილი

გ. კაკუშაძე

გ. გიორგობიანი

ი. აბრამიშვილი